დახმარება:ხშირი შეკითხვები

იხ. ასევე **დახმარება:პირველი ნაბიჯები**, სხვა ადგილებისთვის სადაც შეიძლება თქვენი კითხვის პასუხი მოიძებნოს. თქვენ შეგიძლიათ დასვათ ახალი შეკითხვები ამ გვერდის რედაქტირების გზით და უპასუხოთ ან დააზუსტოთ უკვე დასმული შეკითხვები.

სტატიების რედაქტირება

კითხვა: როგორ ხდება სტატიის რედაქტირება?
პასუხი: წაიკითხეთ დახმარების გვერდი ტექსტის რედაქტირება (მარტივი).

კითხვა: თუ მე დავწერ სტატიას, ნებისმიერს შეუძლია მასში სისულელეების შეტანა. მაშ, რატომ უნდა მინდოდეს ასეთ პირობებში მუშაობა
პასუხი: სისტემა ინახავს სტატიის ძველ ვერსიებს, ამიტომ შესაძლებელია მასზე დაბრუნება. თუ ვინმე განზრახ აზიანებს სტატიას, უნდა აცნობოთ ადმინისტრატორს, რომელსაც შეუძლია არასასურველი რედაქტორის ბლოკირება.

კითხვა: მე წავიკითხე წინა პასუხი, მაგრამ ვხედავ, რომ სტატიებში მაინც ბევრი სისულელე წერია!
პასუხი: **შეასწორეთ** ეს სისულელეები. სწორედ ეს არის ნამდვილი ვიკიპედიელის ქცევა.

სურათები

კითხვა: როგორ ხდება გვერდებში სურათების ჩამატება?
პასუხი: ყველაზე მარტივი გზა არის სურათის მოძებნა საერთო საცავში, სადაც მილიონობით თავისუფალი ფაილია.

ბმულები

კითხვა: რა განსხვავებაა ლურჯ და წითელ ბმულებს შორის?

პასუხი: ლურჯი ბმულები მიუთითებს, რომ ამ სიტყვაზე სტატია უკვე არსებობს, წითელბმულიან სიტყვებზე — ჯერ არა. თქვენ შეგიძლიათ ასეთი სტატია თავად შექმნათ.

კითხვა: საჭიროა თუ არა, რომ ერთ სტატიაში, ერთიდაიგივე გვერდზე რამდენიმეჯერ იყოს გაკეთებული ბმული?
პასუხი: ხშირ შემთხვევაში, კი. განსაკუთრებით მაშინ, როცა სტატია დიდია, მისი გადაფურცვლისას სტატიის დასაწყისში გაკეთებული ბმული აღარ ჩანს. საჭიროა ასევე ცხრილებში, სადაც თითოეული სტრიქონი დამოუკიდებელია.

უცხოენოვანი სტატია

კითხვა: მე ვნახე სტატია, რომლის ტექსტი უცხო ენაზეა დაწერილი. როგორ მოვიქცე, წავშალო ტექსტი?
პასუხი: რა თქმა უნდა შეგიძლიათ წაშალოთ, მაგრამ ჯერ გადაათვალიერეთ (თუ ის უცხო ენა იცით !), იქნებ საინტერესო სტატიაა და ვინმემ დატოვა იმისათვის, რომ შემდეგ ეთარგმნა. სტატიის დასაწყისში ჩასვით თარგი {{არაქართული}}.

სათაური

კითხვა:როგორ მოვიქცე, თუ მივხვდი, რომ გვერდს სათაური შეცდომით დავარქვი?
პასუხი: არსებობს ორი გზა: (1) გამოიყენეთ საშუალება „გვერდის გადატანა“. სტატია მოთავსდება ახალი სათაურის ქვეშ, რომელსაც თქვენ ხელახლა აირჩევთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სათაური დაკავებული არ იყო. (2) მიმართეთ ადმინისტრატორს, რომელიც წაშლის ამ სტატიას (მხოლოდ მას აქვს ამის უფლება) და შექმნის ახალ გვერდს ახალი სათაურით, რომელშიც სტატიის შინაარსი გადმოვა.

ზომის საერთაშორისო ერთეულები

კითხვა: სხვადასხვა სტატიებში ვხვდები ზომის საერთაშორისო ერთეულებს. როგორ ჯობს მათი ჩაწერა?
პასუხი: სასურველია ეს ერთეულები ჩაიწეროს SI სისტემაში, ამასთან შემოკლებებისას იხელმძღვანელეთ შემდეგი სიით: შემოკლებების აღნიშვნა .

სიები

კითხვა: მე ვერ ვახერხებ ჩემი სტატიის ბმული ჩავსვა სიაში, სადაც მსგავსი სტატიებია შეტანილი. როდესაც ვაჭერ „რედაქტირებას“, სია ქრება.
პასუხი: ვიკიპედიაში ორგვარი სიები არსებობს - ერთი ხელით იქმნება (მაგ. *“ცნობილი გერმანელები”*), მეორე - ავტომატურად (მაგ. *”კატეგორია:გერმანელები”*). პირველი მათგანის რედაქტირება და ბმულის შესაბამის ადგილას ჩასმა არ გაგიჭირდებათ. ამ სიას აქვს ერთი ნაკლი - ამ თემაზე ყოველი ახალი სტატიის შექმნისას, მისი სახელი ხელით უნდა ჩაწეროთ სიაში. მეორე სია ავტომატურად ფორმირდება და თქვენი სტატიაც

მოხვდება მასში, თუ სტატიის ბოლოში გააკეთებთ ჩანაწერს [[კატეგორია:სიის სათაური]], სადაც სიტყვა “კატეგორია” მიუთითებს, რომ ეს არის ავტომატური სია, ხოლო მეორე სიტყვა ამ სიის სათაურია (ჩვენს შემთხვევაში “გერმანელები”).

ტექნიკური კითხვები

კითხვა: შევქმენი ახალი სტატია, მაგრამ ძებნის შედეგებში არ ჩანს. რისი ბრალია?
პასუხი: ეს ვიკიპედიის სერვერის თავისებურების ბრალია. თქვენ მხოლოდ ცოტა ხანი უნდა დაიცადოთ (შეიძლება რამდენიმე დღე) და ყველაფერი თავისით მოგვარდება.

სტატიის წაშლა

კითხვა: როგორ შეიძლება სტატიის წაშლა?
პასუხი: სტატიის წაშლა მხოლოდ ადმინისტრატორს შეუძლია. თუ თვლით, რომ სტატია უვარგისია ან ცარიელია და წაშლას ექვემდებარება მონიშნეთ თარგით: {{წასაშლელი}}. იხ. ვიკიპედია:გვერდის წაშლა.

მოძიებულია „https://ka.wikipedia.org/w/index.php?title=დახმარება:ხშირი_შეკითხვები&oldid=4107272“-დან